27 სექტემბერი, 2021 წელი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი N4

2021 წლის 27 სექტემბერს თსუ-ს I კოპრუსის N202 აუდიტორიაში, 17:00 საათზე შეიკრიბა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების მიზნით შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია

სხდომას ესწრებოდნენ:

თეა წითლანაძე, ვასილ ბარამიძე, მერი კაპანაძე, მიხეილ ჭიღლაძე, ცისანა გავაშელი, აკაკი მიქაბერიძე და ზვიად მურადაშვილი.

დღის წესრიგი:

1. დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესების განსაზღვრა

თეა წითლანაძემ კომისიას წარუდგინა წინადადება დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენელთა რეგისტრაციის ხელშეწყობისა და საარჩევნო დებულების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციისა და გამოყენებისათვის, საარჩევნო დებულებაში რეგისტრაციის წესების განმარტებისა და დამატებითი რეგულაციების განსაზღვრის თაობაზე.

კერძოდ, საარჩევნო დებულების 49-ე მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულია, რომ *,,დამკვირვებელ ორგანიზაციებს რეგისტრაციაში გატარების მიზნით დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 5 დღისა და წარუდგინოს თავისი <u>წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი.“</u>*

თავმჯდომარემ მიუთითა, რომ ,,წესდების სანოტარო წესით დამოწმებული ასლი“ ფართოდ უნდა განიმარტოს და შესაბამისად, ორგანიზაციებს ცესკოში რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცეთ შემდეგი გარემოებების შემთხვევაში, კერძოდ, თუ ორგანიზაცია წარმოადგენს:

1. ორგანიზაციის წესდების სანოტარო წესით დამოწმებულ ასლს (როცა წესდების მატერიალურად არსებული დედანი ასლთან არის სანოტარო წესით დამოწმები).
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული წესდების ასლს.
3. ორგანიზაციის წესდების ასლს, რომელზეც უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერებია დამოწმებული სანოტარო წესით.

აღნიშნული განმარტების გარდა, თეა წითლანაძემ მიუთითა, რომ მნიშვნელოვანია განკარგულებით განისაზღვროს დამატებითი რეგისტრაციის საფუძველი, კერძოდ, ორგანიზაციათა ამონაწერის მეშვეობით დამკვირვებლებად რეგისტრაცია. მან ასევე აღნიშნა, რომ განკარგულებით უნდა განისაზღვროს ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად

საერთაშორისო ორგანიზაციების რეგისტრაციის წესი, ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების წარდგენის წესი.

დამკვირვებლებად რეგისტრაციის ერთგვაროვანი პრაქტიკისათვის კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით, განმარტა, რომ მნიშვნელოვანია რეგისტრაციის განაცხადის რეკვიზიტების განსაზღვრა, კერძოდ, თუ რა შინაარსის მატარებელი უნდა იყოს, ხოლო დამკვირვებელთა რეგისტრაციისათვის რა დოკუმენტაციის წარმოდგენაა საჭირო.

თეა წითლანაძემ კომისიის წევრს შესთავაზა, რომ ჩართულ მხარეთათვის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების მიზნით, მიზანშეწონილი იქნებობდა მატერიალური სახით დოკუმენტების წარმოდგენასთან ერთად განსაზღვრულიყო ელექტრონულად რეგისტრაციის შესაძლებლობა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდა საარჩევნო კომისიის ყველა წევრი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

განისაზღვროს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის VIII მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის 2021 წლის 12 ოქტომბრის არჩევნებისათვის დამკვირვებელ ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეგისტრაციის წესები განკარგულების შესაბამისი დანართით.

კომისიის თავმჯდომარე თეა წითლანაძე

კომისიის მდივანი ზვიად მურადაშვილი